საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბერაძე ივა ნიკოლოზის ძე

ბერაძე ივა ნიკოლოზის ძე (დ. 28. IX. 1940, თბილისი), ოფთალმოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1981), პროფესორი (1988). საქართვ. სამედ. ბიოლ. მეცნ. აკად. წევრი (1994); სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2002); რესპ. მთავარი ოფთალმოლოგი (1980–2003).

1964 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. შემდეგ მუშაობდა ექიმთა დახელოვნების თბილ. სახელმწ. ინ-ტში თვალის სნეულებათა კათედრაზე. 1983 – 87 იყო ამავე კათედრის პროფესორი, 1987–2007 – გამგე. 1991–2003 მუშაობდა ოფთალმოლოგიის ეროვნული ცენტრის დირექტორად. 1995–2005 იყო პოსტდიპლომური განათლების სახელმწ. სამედ. აკადემიის პრორექტორი სამეცნ. დარგში; 2005–07 აკადემიის მაგისტრატურა - დოქტორანტურის დეპარტამენტის თავ-რე.

2004-იდან დღემდე დ. აღმაშენებლის სახ. უნ-ტის ოფთალმოლოგიის კათედრის გამგეა. არის ნიუ-ჰოსპიტალის პროფესორ-კონსულტანტი. ბ. მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი, რ-იც ეხება თვალისა და თვალ-ბუდის ოფთალმოონკოლოგიას, თვალის ტრავმის საკითხებს და სხვ.

თხზ.: Стереокаротидная ангиография в диагностике новообразования орбиты, М., 1978; Современное состояние вопроса диагностики патологии орбиты при одностороннем экзофтальме, Тб., 1978.